გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას!

9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაცნე

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(47) 2013 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს 8 აპრილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი ლოლაძე**, გამგებლის მოადგილე **ბესიკ მარტიაშვილი,** გამგეობის სამსახურების უფროსები და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები ესწრებოდნენ

თათბირზე დაწვრილებით იქნა მიმოხილული ის საკითხები, რომელიც თითოეულ თემსა და სოფელში მოსახლეობის მიერაა წამოჭრილი. განხილული საკითხები ძირითადად ეხებოდა კონკრეტულ სოფლებში წვიმის წყლისგან დაზიანებული ვენახებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგებას, სოფელ უდაბნოს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უწყვეტად მიწოდების დარეგულირებას. თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხებზე და დასახეს გზები და საშუალებები პრობლემების მოსაგვარებლად.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებებია მიწის გადასახადი გაიზარდა

2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს კანონში“ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებებმა, რომელიც ძალაში იმავე წლის 30 დეკემბერს შევიდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში როგორც აგრარულ სექტორში დიდი ინტერესი გამოიწვია – კანონის 204-ე მუხლმა – მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის შესახებ.

ამ საკითხზე განმარტება ვთხოვეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს*** **ილია ჭიაურელს.** როგორც მან გვითხრა:

– 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მუხლი 204-ში შეტანილი ცვლილების საფუძველზე მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დიფერენცირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის დადგინდა 1 ჰექტარზე გაანგარისებით ლარში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის – 79 ლარი;

ბ) სათიბებისა და საძოვრებისათვის – (ბუნებრივი და გაკულტურებული) მიწის ნაკვეთების წლიური საბაზისო განაკვეთი სათიბი – 19 ლარი, საძოვარი – 15 ლარი;

გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის აქაც იგივე ოდენობის წლიური საბაზისო განაკვეთებია, რაც „ა“ და „ბ“ პუნქტებშია გათვალისწინებული.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით.

გამარჯვების 68-ე წლისთავზე

9 მაისის დილას საგარეჯოს ცენტრში დიდი სამამულო ომის მონაწილეთ ელოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, გამგეობის სამსახურების უფროსები და თანამშრომლები... თანდათან დაცოტავდა ომგამოვლილთა რიგები, წელს გამარჯვების 68-ე წლისთავს მხოლოდ 33 ვეტერანიღა შეეგება. მათგან მხოლოდ ხუთმა ვეტერანმა მიიღო საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა: ზაქარია ალექსაშვილმა, ვალერიან გოგიტაშვილმა, გოგი მჭედლიშვილმა (საგარეჯო), იოსებ კვლიშვილმა, გიორგი ღრეულმა (გიორგიწმინდა). სამამულო ომის ვეტერანებს ქალაქის ცენტრში არსებულ პარკში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მუნიციპალური გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი გოჩა ჩერქეზიშვილი, ამავე სამსახურის განყოფილების უფროსი ძაგული მათიაშვილი, ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნაზი არჩუაძე, ამავე განყოფილების სპეციალისტი ხათუნა ხატიაშვილი, პრესსამსახურის უფროსი სპეციალისტი ნინო გვაგვალია, აიპ კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესიკ ღვინაშვილი, ქალაქის რწმუნებული მარიკა თოლომაშვილი, მისი მოადგილე და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები დახვდნენ.

მათ ომის მონაწილეებთან ერთად გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალი და შემდეგ პატარძეულის „გმირთა სავანეს“ ესტუმრნენ, სადაც სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

სამამულო ომის მონაწილენი შემდეგ საზეიმო სუფრასთან მიიწვიეს და გაუმასპინძლდნენ. მუნიციპალიტეტის ომის 33-ვე ვეტერანს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ 100-100 ლარი ფულადი ჯილდო გადასცა.

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი **გიორგი (პავლოვი)** და მისი მრევლი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დიდი გულშემატკივრისა და ჭირისუფალის, საქართველოზე და ქრისტესმიერი სიყვარულით თითოეულ ქართველზე მლოცველი, სიცოცხლეშივე მართლმადიდებელი მრევლისგან წმინდანად აღიარებული **არქიმანდრიტ ბერი გიორგი ბასილაძის** გარდაცვალების გამო. მისი ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს.

მასალებს **არქიმანდრიტ გიორგი ბასილაძეზე** ვრცლად გაზეთის მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

2013 წლის 29 აპრილი

29 აპრილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მიჰყავდა ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს* ილია ჯიაურელს**. მან სხდომის მონაწილეთ გააცნო დღის წესრიგი. საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა* თამარ უსტიაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბერს № 20 დადგენილებით ცვლილება განიცადა 11-ჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 5612 ათასი ლარიდან გაიზარდა 13603.4 ათას ლარამდე, ანუ 7991.4 ათასი ლარით.

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის № 55 განკარგულებით „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ” საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამოეყო 310 ათასი ლარი, საგარეჯოში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის № 162 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ” - 987,85 ათასი ლარი;

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის № 930 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ” – 130 ათასი ლარი;

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის № 972 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში ზოგიერთი ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე” – 200 ათასი ლარი;

– საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის №13/07/10 განკარგულებით „საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 200 ათასი ლარი, სოფ. კაკაბეთში და მანავში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად და ვერხვიანის სასოფლო გზის საფარის აღსადგენად.

– საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის №26/07/04 „საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ „ –100 ათასი ლარი, ქალაქ საგარეჯოს წერეთლის, მ. ქვლივიძის, სარაჯიშვილის ქუჩების, სოფ მანავში პროფილის აღსადგენად და სანიაღვრე არხების მოსაწყობად.

– კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 67,627 ათასი ლარი ,სოფ კოჭბანში და გომბორში სტიქიით დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების აღსადგენად და 30 ათასი ლარი, საპიკნიკე ადგილების მოსაწყობად 37,627 ათასი ლარი;

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის № 1999 განკარგულებით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების გადახურვისა და გათბობის უზრუნველყოფის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების გადახურვასთან დაკავშირებით გამოეყო 300.0 ათ. ლარი.

– საკუთარი შემოსულობების გეგმა გაიზარდა 2582.9 ათასი ლარით, მათ შორის: ქონების გადასახადი – 182.0 ათ. ლარით; შემოსავლები პროცენტებიდან -135.0 ათასი ლარით, სანებართვო მოსაკრებელი მშენებლობის დაწყებისათვის 20.6 ათასი ლარით; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 1.4 ათასი ლარით; შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 6.2 ათასი ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები -3.0 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების კლება – 3626.2 ათასი ლარით; შემცირდა: რენტა – 3.9 ათ. ლარით; სახელმწიფო ბაჟი -4,8 ათასი ლარით; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 3.0 ათ. ლარით; ჯარიმები, სანქციები და საურავები – 60.0 ათ.

ფინანსური აქტივების კლებამ (2012 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი განაწილდა) შეადგინა 1782. 3 ათასი ლარი;

გადასახდელები გაიზარდა 7759,1 ათასი ლარით, კერძოდ:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო სამსახურის ხარჯები გაიზარდა 451,7 ათასი ლარით; მათ შორის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება 330 ათასი ლარია;

– თავდაცვის დაფინანსება გაიზარდა 4,5 ათასი ლარით;

– საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯი – 105,9 ათასი ლარით, მათ შორის პოლიციის სამსახურის ხარჯები – 104,6 ათასი ლარით;

– ეკონომიკური საქმიანობა – 3406 ათასი ლარით; მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტი და გზები 3403 ათასი ლარით;

– გარემოს დაცვა გაიზარდა 205 ათასი ლარით;

– საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1793,6 ათასი ლარით, მათ შორის წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები -929,5 ათასი ლარით;

– დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება -625 ათასი ლარით, მათ შორის მომსახურება და დასვენება სპორტის სფეროში -80 ათასი ლარით, მომსახურება კულტურის სფეროში - 474,6 ათასი ლარით;

– განათლების დაფინანსება გაიზარდა - 658,3 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდა - 477 ათასი ლარით;

– სოციალური დაცვის დაფინანსება– 601,3 ათასი ლარით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემოსავლები 2012 წლის წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 87 %–ით, წლიური დაზუსტებული გეგმიური 13603.4 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 11863.5 ათასი ლარი; მათ შორის:

1. საწარმოთა ქონებაზე გადასახდის გეგმა შესრულდა 100 %-ით (დაზუსტებული გეგმა 240.0 ათასი ლარი; შესრულება 240.2 ათასი ლარი);
2. ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის -101 % (გეგმა 18.3 ათასი ლარი, შესრულება 18.4 ათასი ლარი)
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 102% (გეგმა 1239.9 ათასი ლარი, შესრულება 1261.1 ათასი ლარი);
4. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 100% (გეგმა 118.6 ათასი ლარი, შესრულება 119.1 ათასი ლარი);
5. პროცენტებიდან შემოსავალი -98%-ით (გეგმა 185.0 ათასი ლარი, შესრულება 182.1 ათასი ლარი);
6. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -100 % (გეგმა 650.3 ათასი ლარი, შესრულება 650.3 ათასი ლარი);
7. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 100 % (გეგმა 1.1 ათასი ლარი, შესრულება 1.1 ათასი ლარი);
8. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე -100 % (გეგმა 25.6 ათასი ლარი, შესრულება 25.6 ათასი ლარი);
9. სახელმწიფო ბაჟი 114 % (გეგმა 1,2 ათასი ლარი, შესრულება 1,4 ათასი ლარი);
10. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 100 % (გეგმა 4.6 ათასი ლარი, შესრულება 4.6 ათასი ლარი);
11. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 100% (გეგმა 52.0 ათასი ლარი, შესრულება 52.2 ათასი ლარი)
12. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 105 % (გეგმა 6.2 ათასი ლარი, შესრულება 6.5 ათასი ლარი);
13. ჯარიმები, სანქციები, საურავები 101 % (გეგმა 290.0 ათასი ლარი, შესრულება 293.8 ათასი ლარი);
14. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 426 % (გეგმა 3.0 ათასი ლარი, შესრულება 12.8 ათასი ლარი);
15. შემოსავალი ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 100 % (გეგმა 115.0 ათასი ლარი, შესრულება 114,8 ათასი ლარი);
16. არაწარმოებული აქტივების (მიწის)გაყიდვიდან 100 % (გეგმა 3661.2 ათასი ლარი, შესრულება 3661.5 ათასი ლარი);

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 5216.7 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 5207.8 ათასი ლარის 100%, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 2705.7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 200.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 2311.0 ათასი ლარი. მიღებულ ტრანსფერსა და გეგმას შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ წლის განმავლობაში მიღებული და აუთვისებელი ტრანსფერი დაბრუნებული იქნა წლის ბოლოს ფინანსთა სამინისტროში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის გადასახდელების გეგმა წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 95 %-ით (გეგმა 13603.4 ათასი ლარი, შესრულება 12954.0 ათასი ლარი), ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთ სურათს იღებს:

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის დაფინანსება შესრულდა 98 % (გეგმა 2490.2 ათასი ლარი, შესრულება 2439.8 ათასი ლარი);
2. თავდაცვა -94 % (გეგმა 105.4 ათასი ლარი, შესრულება 101.2 ათასი ლარი);
3. საზოგადოებრივი წესრიგი და მომსახურეობა 98% (გეგმა 313.0 ათასი ლარი, შესრულება 308.9 ათასი ლარი);
4. ეკონომიკური საქმიანობა 99 % (გეგმა 3361.3 ათასი ლარი, შესრულება 3347.6 ათასი ლარი);
5. გარემოს დაცვა – 91 % (გეგმა 652.8 ათასი ლარი, შესრულება 593.0 ათასი ლარი);
6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა -93 % (გეგმა 2541.8 ათასი ლარი, შესრულება 2358.8 ათასი ლარი);
7. ჯანმრთელობის დაცვა - 100 % (გეგმა 152.4 ათასი ლარი, შესრულება 152.4 ათასი ლარი);
8. დასვენება, კულტურა, რელიგია - 96 % (გეგმა 1398.4 ათასი ლარი, შესრულება 1342.5 ათასი ლარი);
9. განათლება - 84 % (გეგმა 1532.0 ათასი ლარი, შესრულება 1289.2 ათასი ლარი);
10. სოციალური დაცვა - 97 % (გეგმა 1056.1 ათასი ლარი, შესრულება 1022.6 ათასი ლარი);

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით :

1. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1375.9 ათასი ლარი, გეგმიური 1376.4 ათასი ლარის 100 %
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 170.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 170.2 ათასი ლარის 100%;
3. მივლინებაზე -23.7ათასი ლარი, ანუ გეგმიური 27.6 ათასი ლარის 86 %;
4. ოფისის ხარჯი - 410.6 ათასი ლარი, გეგმიური 435.4 ათასი ლარის 94%;
5. წარმომადგენლობითი ხარჯი -43.7ათასი ლარი, გეგმიური 48.8 ათასი ლარის 90 %;
6. კვების ხარჯი - 7.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 11 ათასი ლარის 69%;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 323.2ათასი ლარი, გეგმიური 326.1 ათასი ლარის 99%;
8. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 871.2 ათასი ლარი, გეგმიური 952.9 ათასი ლარის 91 %
9. პროცენტი -7.9 ათასი ლარი, გეგმიური 7,9 ათასი ლარის 100 %;
10. სუბსიდიები 1640.3 ათასი ლარი, გეგმიური 1724.6 ათასი ლარის 95 %
11. გრანტები 330 ათასი ლარი გეგმის 100%;
12. სოციალური უზრუნველყოფა -1030.6 ათასი ლარი, გეგმიური 1062.0 ათასი ლარის 97 %;
13. არაფინანსური აქტივების ზრდა -6708.8 ათასი ლარი, გეგმიური 7120.2 ათასი ლარის 94 %;
14. ვალდებულებების კლება -8.5 ათასი ლარი, გეგმიური 8,5 ათასი ლარის 100 %;

საანგარიშო პერიოდში შეძენილია ავტომანქანა სედანი, რომელიც გადაეცა შ.ს.ს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებას,

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 49.9 ათასი ლარი, მათ შორის თელავში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საგარეჯოს რეზერვისტთა ტრანსპორტირებაზე– 0,62 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციოდ ღონისძიებებისათვის საწვავის 6,3 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სამეურნეო საქონლის შეძენა –1,8 ათასი ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სამეურნეო საქონლის შეძენა და ტრანსპორტირებისათვის–31,6 ათასი ლარი; ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №13 და №15 კორპუსებთან წყალსადენის მოწყობისათვის 3.7 ათ. ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ღვინის ტრანსპორტირების, შენახვის, დახარისხებისა და დარიგებისათვის 3.3 ათ. ლარი; გურჯაანიდან საგარეჯომდე მეორადი ავეჯის ტრანსპორტირებისათვის 0.4 ათ. ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით :

1. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 449,3 ათასი ლარი, გეგმიური 450,3 ათასი ლარის 100 %
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 23,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 24,2 ათასი ლარის 98 %;
3. მივლინებაზე -6,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 6,7 ათასი ლარის 96 %;
4. ოფისის ხარჯი - 79,6 ათასი ლარი, გეგმიური 80,8 ათასი ლარის 98%;
5. წარმომადგენლობითი ხარჯი -2,0 ათასი ლარი, გეგმიური 2,0 ათასი ლარის 100 %;
6. კვების ხარჯი - 2,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 2,5 ათასი ლარის 100 %;
7. ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 85,3 ათასი ლარი, გეგმიური 86,6 ათასი ლარის 98 %;
8. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 117,0 ათასი ლარი, გეგმიური 117,9 ათასი ლარის 99 %
9. პროცენტი -1,8 ათასი ლარი, გეგმიური 1,8 ათასი ლარის 100 %;
10. სუბსიდიები 421,4 ათასი ლარი, გეგმიური 422,2ათასი ლარის 100 %
11. სოციალური უზრუნველყოფა -112,7 ათასი ლარი, გეგმიური 115,0 ათასი ლარის 98 %;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა -310,1 ათასი ლარი, გეგმიური 312,5 ათასი ლარის 99 %;
13. ვალდებულებების კლება -2,3 ათასი ლარი, გეგმიური 2,3 ათასი ლარის 100 %;

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 22,5 ათასი ლარი, ქ. საგარეჯოს მრავალსართულიანი სახლების წყალმომარაგების სამუშაოებზე.

ასევე, ქალბატონმა **თამარ უსტიაშვილმა** მოხსენება გააკეთა საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ“***, სადაც აღნიშნა, რომ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის № 25 დადგენილებით 2013 წლის პირველ კვარტალში ცვლილე-

დასასრული მე-3 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

დასასრული

ბა განიცადა 2-ჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 5819 ათასი ლარიდან გაიზარდა 6138,1 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 319,1 ათასი ლარით.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გადასახადების ნაწილში შემცირდა 141,0 ათ. ლარით. მ.შ.

– საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შემცირდა 110,0 ათ. ლარით (2012 წლის ფაქტი 240,1 ათ. ლარი, 2013 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 350,0 ათ. ლარი);

– არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შემცირდა 31,0 ათ. ლარით (2012 წლის ფაქტი 119,1 ათ. ლარი, 2013 წლის ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 150,0 ათ. ლარს).

– ფინანსური აქტივების კლებამ (2013 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი განაწილდა) შეადგინა 460.1 ათასი ლარი;

გადასახდელები გაიზარდა 319,1 ათასი ლარით, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის №1999 განკარგულებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი და მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული იქნა 300,0 ათ. ლარი. აქედან 259,5 ათ. ლარის სამუშაოების შესრულება ვერ მოესწრო გასულ წელს, ამიტომ 2013 წლის ბიუჯეტში მოხდა ცვლილება და დაიგეგმა ბინების გადახურვაზე 119,8 ათ. ლარი. სკოლამდელი დაწესებულებების (საგარეჯოს №1 ბაგა–ბაღის შენობის კარ–ფანჯრის შეცვლა, გათბობის სისტემის მოწყობა (48,3 ათ. ლარი); ნინოწმინდის საბავშვო ბაღის სახურავის ფენილის შეცვლა (59,3 ათ. ლარი); გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა–ბაღის შენობის კარ–ფანჯრის შეცვლა და გათბობის სისტემის მოწყობა (32,1 ათ. ლარი). 2013 წლის პირველ კვარტალში დაიგეგმა ასევე 2012 წელს დაწყებული ხაშმის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები 22,9 ათ. ლარის ოდენობით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასე გამოიყურება:

– საერთო დანიშნულების სახელმწიფო სამსახურის ხარჯები გაიზარდა 2,5 ათასი ლარით;

– საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯი – 0,4 ათასი ლარით, - ეკონომიკური საქმიანობა – 6,9 ათასი ლარით; მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტი და გზები 6,9 ათასი ლარით;

– გარემოს დაცვა გაიზარდა 166,8 ათასი ლარით;

– საბინაო კომუნალური მეურნეობა - 142,8 ათასი ლარით, მათ შორის წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები -22,5 ათასი ლარით;

– დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება -4,0 ათასი ლარით, მათ შორის მომსახურება და დასვენება სპორტის სფეროში -4,0 ათასი ლარით.

– განათლების დაფინანსება გაიზარდა - 162,4 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდა - 162,4 ათასი ლარით;

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის პირველი კვარტლის შემოსავლებმა 2013 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 107 %–ით, 2013 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმიური 1625,3 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 1737,7 ათასი ლარი; მათ შორის:

1. საწარმოთა ქონებაზე გადასახდის გეგმა შესრულდა 98 %-ით (პირველი კვ. დაზუსტებული გეგმა 30,0 ათასი ლარი; შესრულება 29,4 ათასი ლარი);
2. ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის -93 % (გეგმა 1,5 ათასი ლარი, შესრულება 1,4 ათასი ლარი)
3. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 98 % (გეგმა 120,0 ათასი ლარი, შესრულება 1261.1 ათასი ლარი);
4. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 100% (გეგმა 118.6 ათასი ლარი, შესრულება 117,0 ათასი ლარი);
5. პროცენტებიდან შემოსავალი -98%-ით (გეგმა 22,5 ათასი ლარი, შესრულება 22,1 ათასი ლარი);
6. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -100 % (გეგმა 104,0 ათასი ლარი, შესრულება 103,5 ათასი ლარი);
7. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე -112 % (გეგმა 4,9 ათასი ლარი, შესრულება 5,5 ათასი ლარი);
8. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 101% (გეგმა 14,0 ათ ასი ლარი, შესრულება 14,1 ათასი ლარი)
9. ჯარიმები, სანქციები, საურავები 180 % (გეგმა 95,0 ათასი ლარი, შესრულება 171,0 ათასი ლარი);
10. არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 178 % (გეგმა 50,0 ათასი ლარი, შესრულება 89,2 ათასი ლარი);

2013 წელის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 715,2 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 715,2 ათასი ლარის 100%, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 665,1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 50,1 ათასი ლარი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის პირველი კვარტლის გადასახდელების გეგმა შესრულდა 99 %-ით (გეგმა 1625,3 ათასი ლარი, შესრულება 1614,6 ათასი ლარი), ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთ სურათს იღებს:

-საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის დაფინანსება შესრულდა 99 % (გეგმა 518,8 ათასი ლარი, შესრულება 514,6 ათასი ლარი);

1. თავდაცვა -100 % (გეგმა 29,7 ათასი ლარი, შესრულება 29,6 ათასი ლარი);
2. საზოგადოებრივი წესრიგი და მომსახურეობა 100% (გეგმა 60,7 ათასი ლარი, შესრულება 60,6 ათასი ლარი);
3. ეკონომიკური საქმიანობა 100 % (გეგმა 6,9 ათასი ლარი, შესრულება 6,9 ათასი ლარი);
4. გარემოს დაცვა – 99 % (გეგმა 66,0 ათასი ლარი, შესრულება 65,6 ათასი ლარი);
5. საბინაო-კომუნალური მეურნეობა -100 % (გეგმა 251,0 ათასი ლარი, შესრულება 250,8 ათასი ლარი);
6. ჯანმრთელობის დაცვა - 97 % (გეგმა 19,5 ათასი ლარი, შესრულება 19,0 ათასი ლარი);
7. დასვენება, კულტურა, რელიგია - 100 % (გეგმა 189,6 ათასი ლარი, შესრულება 189,0 ათასი ლარი);
8. განათლება - 99 % (გეგმა 379,1 ათასი ლარი, შესრულება 376,5 ათასი ლარი);
9. სოციალური დაცვა - 98 % (გეგმა 104,0 ათასი ლარი, შესრულება 102,1 ათასი ლარი);

ასევე, სხდომაზე განიხილეს და დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლას პროფესორ სოლომონ ქურდიანის სახელი მიენიჭა.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №9 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ*** **ივანე ბრძელაშვილმა.**

საკითხის ***„აიპ საგარეჯოს №105 კომპლექსურ სასპორტო სკოლის 2007 წლის საშტატო განრიგისა და სახელფასო გაანაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 სექტემბრის №81 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე*** მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ*** **ვაშა ბაზერაშვილმა.**

მანვე გააკეთა მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“.

2013 წლის 10 მაისი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 მაისის რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს დეპუტატებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს დღის წესრიგის შემდეგი საკითხები: ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“*** – მომხსენებელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი ფინანსების სამსახურის უფროსი **თამარ უსტიაშვილი.**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა*** **ჯუბა ყანდარელმა.**

სხდომებზე დეპუტატებმა იმსჯელეს დღის წესრიგით წარმოდგენილ თითოეულ საკითხზე და ყველა საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის

საირიგაციო სისტემის მოსაწესრიგებლად

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებასა და მის აღორძინებაზე ზრუნვასთან ერთად მიმდინარე წელს დიდი ყურადღება დაეთმობა სამელიორაციო სისტემების მოწესრიგებასა და უხვი მოსავლის სამსახურში ჩაყენების საქმეს. ამ საკითხთან და მუნიციპალიტეტში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით 29 აპრილს საგარეჯოს სტუმრობდნენ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ სამელიორაციო მომსახურების ორგანიზების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსები: თამაზ ნაფეტვარიძე, გიორგი ანდღულაძე, საპროექტო ორგანიზაცია „საქწყალპროექტის“ წარმომადგენელი კორნელი დარსაველიძე. როგორც მათ მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებთან და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს (უფროსი უჩა თაბაგარი) თანამშრომლებთან და ფერმერებთან შეხვედრაზე აღნიშნეს, სადღეისოდ საქართველოში 129 სარწყავ-საირიგაციო სისტემაა. ამ სისტემებით ქვეყანაში უნდა ირწყვებოდეს 278 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ფაქტიურად თავის დროზე ამ სისტემების მიუხედაობითა და შიდა სარწყავი ქსელების მწყობრიდან გამოსვლის გამო 2011 წელს მოსახლეობის მიერ წყლის მიწოდებაზე მოთხოვნა დაყენებული იყო მხოლოდ 29000 ჰექტარზე. მომდევნო 2012 წელს კი უფრო ნაკლებზე.

ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც საგარეჯოს მუნიციპალიტეტშია. არსებული ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს მარცხენა და მარჯვენა მაგისტრალური არხებით უნდა ირწყვებოდეს 23 ათასი ჰექტარი მიწა. ფაქტიურად, შარშან და შარშანწინ მიწის მორწყვაზე მოთხოვნა შემოსული იყო და ხელშეკრულება გაფორმდა 2000 ჰა-ზე. აქედან მიწოდებულ წყალზე გადახდა მხოლოდ 35% იყო. აქ 1 ჰექტარი მიწის მორწყვა მხოლოდ 75 ლარია. მოსარგებლე არ იზღუდება – რამდენჯერაც მიწა საჭიროებს, იმდენჯერ შეუძლია მორწყას ნათესნარგაობები. მაგრამ იმის გამო, რომ მწყობრიდან არის გამოსული და ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებენ შიდა სარწყავი ქსელები და არხები, წყლით მოსარგებლეს გაცილებით მეტი წვალება და თანხები უჯდება სასურველ ადგილამდე სარწყავი წყლის მისაყვანად. აქედან ჩანს, რომ ვერ იმუშავეს და ვერ გაამართლეს სამელიორაციო ასოციაციებმა.

საქართველოს სარწყავ-საირიგაციო სისტემების მოწესრიგების მიზნით ამ 6-7 წლის წინ შემოსული იყვნენ დონორი ორგანიზაციები. კერძოდ, მსოფლიო ბანკმა შეარჩია და დააფინანსა სამი სარწავი სისტემა, მათ შორის ალაზნის სარწყავი სისტემის მონაკვეთის სარეაბილიტაციო აღდგენის სამუშაოები, რაც იმავე წელს განხორციელდა. სამწუხაროდ, მაშინ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა ვერ მოხვდა ამ პროექტში. ამის შემდეგ საქართველოში ამ კუთხით დონორი ორგანიზაციები აღარ გამოჩენილან. მათ გარეშე კი ყოვლად წარმოუდგენელია მოშლილი საირიგაციო სისტემების წესრიგში მოყვანა,რადგან ეს საქმე აურაცხელ თანხებთან არის დაკავშირებული. საბედნიეროდ, ეს ხარვეზი წლეულს გამოსწორდა. მსოფლიო ბანკი ამ გაზაფხულიდან კვლავ განაახლებს ამ კუთხით თავის მუშაობას. ქვეყანაში შერჩეულ სამ სისტემას შორის ქვემო სამგორის სარწყავი სისტემაც არის შეტანილი. კერძოდ პერსპექტივაშია მარცხენა მაგისტრალური არხის I-IX გამანაწილებლების მონაკვეთის მთლიანი რეაბილიტაცია. აღნიშნული მონაკვეთი ემსახურება სოფელ გიორგიწმინდის სავარგულებს. როგორც მათ აღნიშნეს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგარეჯოში ჩამოვა მსოფლიო ბანკის მისია, რომელიც ადგილზე შეამოწმებს და შეაჯამებს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხას. კარგი იქნება თუ მათ ადგილზე დახვდებიან ადგილობრივი მოსახლეობა და ფერმერები, რომელთა აზრის მოსმენა და გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ამ საქმის დაწყებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები და დაისახა შესაბამისი ღონისძიებები.

გივი დაგახიშვილი

იუბილე

ამოწიწებით შემოაღო რედაქციის კარი ყოველთვის მორიდებულმა, მოკრძალებულმა ნინო ჯანგულაშვილმა. ქ-ნი ნინო პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილის ქალიშვილია. თავად ნინო საოცრად თბილი, ცოცხალი ფერებით ხატავს ყველაფერს, რასაც მნახველისათვის სიამოვნების მინიჭება, სიკეთის კეთების სურვილის აღძვრა შეუძლია.

ქ-ნმა ნინომ მამაზე – პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილზე მოგონებები შემოგვთავაზა.

წლევანდელი მაისი საიუბილეო უნდა ყოფილიყო ომგამოვლილი ქართველი პოეტის, თავის ქვეყანაზე და განსაკუთრებით მშობლიურ საგარეჯოზე უზომოდ შეყვარებული კაცის – თეიმურაზ ჯანგულაშვილისათვის. 25 მაისს მას 90 წელი უნდა შესრულებოდა.

დაიბადა 1923 წლის 25 მაისს საგარეჯოს მაშინდელი ფოსტის უფროსის ალექსანდრე ვარლამის ძე ჯანგულაშვილის ოჯახში. წარჩინებით – ფრიადებზე დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა და ქართულ სიტყვასა და პოეზიაზე ბავშვობიდანვე წილნაყარმა ჭაბუკმა მუშაობა რაიონულ გაზეთში პასუხისმგებელ მდივნად დაიწყო. მანამდე მოსწავლეობის პერიოდში მუშაობდა საგარეჯოს მეტეოსადგურში დამკვირვებლად. რაიონული გაზეთის რედაქციიდან 1943 წლის მაისში საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. 1944 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი უფროსი ლეიტენანტის წოდებით. 1944 წლის სექტემბრიდან 1945 წლის მაისის ბოლომდე იბრძოდა უკრაინის I ფრონტის შემადგენლობაში პოლონეთისა და უკრაინის ფაშისტური უღლისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

1946 წელს ნაბრძოლი პოეტი საგარეჯოში დაბრუნდა და მუშაობა კვლავ რაიონულ გაზეთში პასუხისმგებელ მდივნად განაგრძო. 1948 წელს შევიდა და 1954 წელს დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1949-51 წწ-ში მუშაობდა საგარეჯოს რაიონის კულტგანყოფილების გამგედ. 1951 წლის დეკემბრიდან 1958 წლის ივლისამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის დირექტორი. მუშაობდა ლიტერატურული გაზეთის პოეზიის განყოფილების გამგედ.

ლექსების წერა ბავშვობიდანვე დაიწყო. მისი პირველი ლექსები 1937 წელს დაიბეჭდა რაიონულ გაზეთსა და „ნორჩ ლენინელში“. 1941 წელს მისი ლექსები შეტანილი იქნა ქართველი პოეტების კრებულში „სალამური“. გამოცემული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები: „ცხრაასორმოცდახუთი“, „მოვდივართ, მოგვიხარია“, „ბალადა მიწის გაცოცხლებისა“, „მაისი ოდერზე“,„ლექსები“,„თბილისის დილა“,„10 ლექსი“ და სხვა მრავალი.

ამას გარდა, მისი ლექსები თარგმნილია და შესულია რუსულ, უკრაინულ, პოლონურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და სხვა ენათა კრებულებში.

პარალელურად სხვადასხვა დროს მას ნათარგმნი და გადმოქართულებული აქვს მრავალი უცხოელი პოეტის შემოქმედება. 1947 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საბრძოლო და ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

ჩვენი თანამემამულე, პოეტი, მოქალაქე

მამაჩემს –

თეიმურაზ ჯანგულაშვილს უსაზღვროდ უყვარდა საგარეჯო და საგარეჯოელები. ასევე დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობდა იგი საგარეჯოელებისაგან, რისთვისაც ყოველთვის უდიდეს მადლიერებას გამოხატავდა.

სწორედ ამ სიყვარულმა მაგრძნობინა ვალდებულება – შემეხსენებინა საგარეჯოელებისათვის მათი თანამემამულე პოეტისა და მამულიშვილის – თეიმურაზ ჯანგულაშვილის 90 წლის იუბილე და შემეთავაზებინა მამაჩემთან დაკავშირებული მოგონებები.

ამ ჩვიდმეტ წელიწადში, რაც მამაჩემი ჩემს გვერდით აღარ არის, ერთი დღე არ არის, რომ არ გამეხსენებინოს, მაგრამ სიკვდილმა დაგვაცილა ერთმანეთს. ეს პატარ-პატარა მოგონებებიც მისმა მონატრებამ დამაწერინა.

მამა სიკვდილამდე ორი დღით ადრე გამოწერეს საავადმყოფოდან – თავის სახლში დალიოს სულიო. უკურნებელი სენი სჭირდა და უძლური იყო ექიმიც და წამალიც. წამოსვლისას ყველაფერი რომ ავალაგე პალატიდან, ჩემი ყურადღება ქაღალდმა მიიქცია, ზედ წყლიანი ჭიქა რომ იდგა. ავიღე,მამას სულ-სულ ბოლო ნაწერი იყო – ლექსის ერთი სტროფი:

„შენს მკერდს ვემხობი მშობლიურო
მიწავ ისევ,
შენ დამბადე და შენს
მკერდშივე ჩავიფერფლები
თვალის ახელას ვერ მოასწრებ
უცებ პეპლების
ფრთები წაიღებს ჩემს
სიცოცხლეს შორეულ ცისკენ“

მე მას ანგარიშმიუცემლად წავაწერე „გამოთხოვება სიცოცხლესთან“.

მამას უყვარდა გალაკტიონის მოგონების მოყოლა. როგორ შეხვდა მწერალთა კავშირის წინ პოეზიის მეფე – გალაკტიონი. მამას უფროსი ქალიშვილი მზია ხელჩაჭიდებული სამსახურში მიჰყავდა. „ვისია, ძამიკო, ეს პეპელასავით გოგოო“,– უკითხავს გალაკტიონს მამასთვის, თან ხელში აუყვანია ბავშვი და თავს მაღლა აუწევია სიცილითა და მოფერებით.ეტყობა, პოეტის გრძელმა წვერებმა შეაშინა ბავშვი (მაშინ 6 წლის ყოფილა) და ტირილი დაუწყია. „ასე არ გამოვა,ნაწყენები ვერ დავშორდებით ერთმანეთსო“ – უთქვამს გალაკტიონს. უახლოეს გასტრონომში შეუყვანია და კამფეტებით დაუსაჩუქრებია.

მამაჩემის უფროსი ქალიშვილი აღტაცებით იტყოდა ხოლმე – გალაკტიონ ტაბიძეს ხელში ავუყვანივარ და კამფეტებიც უყიდია ჩემთვისო, ეს იცი, რას ნიშნავს?!

მას შემდეგ, რაც მეხსიერება მაქვს, თითქმის სულ მამას გვერდით გავატარე ცხოვრება. ჩემს მეხსიერებაში კრიალოსანივით არის ასხმული მამის გვერდით გატარებული უძვირფასესი დღეები. მიჭირს შერჩევა, რადგან ყველა ერთნაირად მიწვდის ხელს წარსულიდან,მიღიმის,მახსენებს იმ ბედნიერ დროს. მამას არქივში ინახება მისი საპასუხო ბ-ნ ნუგზარის წერილი: „გამარჯობა, ძმაზედ ძმაო და საყვარელო ადამიანო, საოცრად შეძრული ვარ შენი ჯანმრთელობის მდგომარეობით, რა იყო, რა მოგივიდა ბრძოლის ყიჟინით დუნიაშემოვლილ კაცს, ვისლისა და ოდერის ტალღანასვამ მეომარს განა რამე მოგერევა?! გამაგრდი, ვეფხვის მუხლი მოიბი და ორბის ფრთა გამოიბი,ძველი მეციხოვნესავით ჩაუსანგრდი მაგ მსახვრალ ტკივილს, ძმაო თეიმურაზ!!! მე ისევ ისე გული მღლატობს, საოცარია, რასაც არასოდეს არ ვუჩიოდი, სწორედ იმან მიღალატა – გულმა! არა უშავს, უნდა გავუძლოთ!“ 1993 წლის 28 მაისს საგარეჯოში ზეიმით აღინიშნა მამას 70 წლის იუბილე. იქვე მოეწყო ჩემი ნამუშევრების გამოფენა. შთაბეჭდილებების წიგნში ბ-ნმა ნუგზარმა ჩამიწერა: „ნინო, შაბაშ შენს მაღალ შთაგონებას – ჭეშმარიტი ხელოვანი ხარ, დიდი ტრადიციების მქონე ქართული სახვითი ხელოვნების ნაღდი მემკვიდრე. ფერებში აღიარებულ ხვალინდელ დღეს გისურვებ მაღალშთაგონებული ქმნილებებით!“

ბატონ ნუგზარს პირობა მივეცი, რომ ჩემს საქმეს არ ვუღალატებდი და დღესაც შემოქმედებით საქმეს ვაკეთებ.

მათ სხვანაირი მეგობრობა შეეძლოთ

მამა უმდიდრესი კაცი იყო თავისი სამეგობროთი, მაგრამ ამ მდიდარ სამეგობროში გამორჩეული ადგილი ეკავა ნუგზარ ჭანტურიას. საოცრად დიდი სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, მამაჩემს – თეიმურაზ ჯანგულაშვილს და ბატონ ნუგზარს. ალბათ, პირველ რიგში იმიტომ, რომ მამა სულით და ხორცით საგარეჯოს, თავის მამაპაპისეულ კუთხეს ეკუთვნოდა და როგორც თვითონ ამბობდა, გარეჯის მიწა ასაზრდოებდა მის შემოქმედებით მუხტს. აკი გარეჯის განუყოფელ ნაწილად ეგულებოდა და თავისი სულიერი მეგობარი, ასევე პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ბუმბერაზი პიროვნება (ბუმბერაზი, სწორედ ასე ამბობდა მამა) ნუგზარ ჭანტურია.

მე დღესაც სათუთად ვინახავ მამას პირად არქივს, სადაც ბ-ნი ნუგზარის მიერ გამოგზავნილი ბევრი პირადი ინახება. „ძმაო თეიმურაზ!“ – ასე იწყება ყველა მათგანი, ხელმოწერაც ყველას ერთნაირი აქვს – „შენი ძმაზედ ძმა ნუგზარ ჭანტურია“.

კარგად მახსოვს 1995 წლის გვიანი გაზაფხულის თბილი დღე „ჩვენი საგარეჯოს სახლის“ (ასე ეძახდა მამა თავის საყვარელ სახლს საგარეჯოში). ეზოში კუნძებზე ისხდნენ მამა და ბ-ნი ნუგზარი. მაგიდის მაგივრობასაც გამხმარი კუნძი უწევდათ... საუბრობდნენ წყნარად, ტკბილად... მე მათთვის სახელდახელო სადილს ვაკეთებდი და მხოლოდ დროდადრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმოდა მათი საუბარი. სწორედ მაშინ უთხრა ბ-ნმა ნუგზარმა მამას: – ხელი მომეცი და ძმურად შევფიცოთ ერთმანეთს, რომ სანამ ოთხმოც წელს არ მივაღწევთ, სიკვდილი არ ვაზეიმოთ ჩვენზეო... მათგან არც ერთს არ ჩვეოდა პირის გატეხვა, არც ყოველდღიურობაში და მით უფრო, არც ძმობის ფიცში... მხოლოდ ამ ერთხელ ვერ შეძლეს ქადილის ასრულება – იმავე წელს შემოდგომაზე ბ-ნ ნუგზარს გამოეთხოვა საგარეჯო და არა მარტო საგარეჯო. ცხრა თვის შემდეგ 1996 წლის ზაფხულში მამა დაადგა მარადიულობის გზას.

მიუხედავად ამისა, სიკვდილს არ უზეიმია მათზე, არც შეიძლებოდა ეზეიმა... მე მჯეროდა მამას კაცთმოყვარეობის, სიკეთის, თავმდაბლობის,ჰუმანურობის და რაც მთავარია, ნიჭის და ვიცოდი, რომ დაუმსახურებლად არავის შეიყვარებდა, ისე, როგორც ნუგზარ ჭანტურია უყვარდა, უბრალოდ არავის უწოდებდა ბუმბერაზ ქართველს, როგორც ნუგზარ ჭანტურიას უწოდებდა, თვითონ ქართული სიტყვის მაღმერთებელი ისე, უბრალოდ არავის შეუქებდა ლექსის სტრიქონს, მოსწონდა ნუგზარ ჭანტურიას ლექსები. ბ-ნი ნუგზარის ლექსების კრებულის „მე სისხლიანი ვძოვე ბალახი“ გაფორმებაც ერთად მთხოვეს ბ-ნმა ნუგზარმა და მამამ, და მე უდიდესი სიამოვნებით შევასრულე მათი თხოვნა.

ჩემთვის უძვირფასეს მოგონებათა შორისაა ნუგზარ ჭანტურიას ჩვენს ოჯახში ყოველი სტუმრობის თუ მის ოჯახში (მე და მამა) სტუმრობის ყოველი გახსენება. ახლაც თვალწინ მიდგას ბ-ნ ნუგზარის და მამაჩემის ღიმილიანი სახე. და მე ძალიან მიხარია, რომ საგარეჯოს სინამდვილეში ბ-ნ ნუგზარის გარდაცვალებით გამოჩენილი სიცარიელე დღეს აღარ არსებობს. იმ ადგილს მისი დავაჟკაცებული შვილიშვილი – ნუგზარ ჭანტურია ავსებს. თქვენი სიცოცხლე ღირსეულად გრძელდება, ბატონო ნუგზარ!

ნინო ჯანგულაშვილი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ლექსები

ჩვენა ვართ ომის ვეტერანები

ვართ დიდი ომის ვეტერანები,
სიცოცხლისათვის სისხლდაღვრილები,
ჩვენი მშობელი ხალხის ბრძანებით
თერგის პირებთან წამოშლილები,
უუმძიმესი ბრძოლით, წამებით
ელბის პირამდე გზაგავლილები.
ჩვენა ვართ ომის ვეტერანები
და... დათვლილი გვაქვს უკვე წამები.
ჩვენს ირგვლივ ძეძვის მჩხვლეტავი ტყეა,
ცრემლ-სისხლი გვივსებს საღვინე
ქოცოს
ნუთუ იმიტომ დაგვინდო ტყვიამ,
რომ სიბერეში შიმშილმა გვხოცოს?!
ჯოჯოხეთიდან ცოცხლად მოსულნი,
დასჯილნი წრფელი სიყვარულისთვის,
ხელის თრთოლვით და გულის
მოწურვით
ჯილდოებს ვყიდით ლუკმა-პურისთვის.
ვეღარ ვიფონებთ სულს მყუდროებით,
ჟანგი ედება გუთნებს და ჩანგებს.
ვყიდით ორდენებს, რათა დროებით
მაინც დავუსხლტეთ სიკვდილის ჭანგებს.
ჩამოგვღრუბლია თვალთა ცა ყვითლად,
გულებს გვისერავს ცხელი დანები –
რაღა გავყიდოთ წამლის საყიდლად?
ვინ ფიქრობს, ვინ წუხს, ვის ვენანებით?
ჩვენა ვართ ომის ვეტერანები!

19 ივნისი, 1994.

მე შენ სიკვდილშიც უნდა მახსოვდე

ჩემო ჯილაგო და ჩემო ჯიშო,
სულ იმას ვფიქრობ, სულ იმას ვშიშობ,
არ გაგიმტყუნო რამე იმედი,
არ გაგაწბილო მე რაიმეთი.
ჟამს სიმაძღრის თუ ჟამს შიმშილობის
მშობელს არ შეგრცხვეს ჩემი შვილობის

ჩემო ჯიშო და ჩემო ჯილაგო,
თუ სული ეკლით შემოვირაგვო,
თუ მრუდე გზაზე ვერ შემაჩერე,
მყისვე ხელი მკარ და შემაჩვენე.
ჩემო ჯიშო და ჩემო ჯილაგო,
შენზე სიმღერას ნუ ამიკრძალავ
და თუ წყვდიადში ვერ ვიჩირაღო,
შემიცოდე, რომ არ მეყოს ძალა.
შვილის აკვანო, დედის სამარევ,
უპირველესად თქვენ ხართ სამშობლო!
სიყვარულს ჩემსას არ აქვს სამანი,
აპრილმა ისევ უნდა გამფოთლოს.
ჟამს სიბრძნისა თუ ჟამს შეშლილობის
გქონდეს იმედი ჩემი შვილობის.

ჩემს ძარღვში მჩქეფი ძარღვის სათავევ,
აღმართი ლამის ამოვათავე...
ვაითუ ჩანგის სიმი გამიწყდეს
და გულზე მზე სხივს აღარ მაქსოვდეს...
შენ გაქვს უფლება – მე დაგავიწყდე,
მე შენ სიკვდილშიც უნდა მახსოვდე!

18 ივლისი, 1994

ექიმის საუბარი

წითელა – ყურადსაღები მწვავე ინფექცია

მწვავე ინფექციურმა დაავადებამ წითელამ ბოლო შამს გამოვლენილი გავრცელების მასშტაბურობის გამო, სერიოზული პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაც მოითხოვა და რაც მთავარია, მშობლებს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა. დღეს წითელას ეტიოლოგიაზე, მის გამომწვევ ვირუსზე, წყაროზე, გადაცემის მექანიზმსა და ეპიდემიოლოგიურ თავისებურებებზე, ასევე მის კლინიკასა და პროფილაქტიკის შესახებ გვესაუბრება ***შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მულტიასაფილური სამედიცინო ცენტრის პედიატრი* მარინა ილაური:**

– წითელა ანთროპონოზული, მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელსაც გადაცემის აეროგენულობა ახასიათებს. თავად გარემოში მოხვედრილი ვირუსი ძალიან სწრაფად იღუპება სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებით, ადვილად ითრგუნება, ინაქტივირდება მზის და ულტრაიისფერი სხივების, ასევე, გათბობის ზემოქმედებით. აღსანიშნავია, რომ 50° C-ზე ვირუსი 15 წუთზე იღუპება, მომენტალურად კი 60°C-ზე. ოთახის ტემპერატურაზე ვირუსი მხოლოდ 1-2 დღე ძლებს, მაგრამ, კარგად უძლებს დაბალ ტემპერატურას.

ინფექციის წყარო დაავადებული ადამიანია, რომელიც ვირუსის გამოყოფას იწყებს ინკუბაციური პერიოდის ბოლო 1-2 დღიდან. პროცესი კი ძლიერდება ე.წ. პროდრომულ პერიოდში – გამონაყარის განვითარებიდან 4 დღე. ამიტომაცაა, რომ დაავადების გადადება ე.ი. ავადმყოფის გადამდებლობა 8-9 დღე გრძელდება. თუ დაავადებას თან დაერთო სხვადასხვა სახის გართულებები, მაშინ გადამდებლობის პერიოდი იზრდება კიდევ ერთი კვირით.

– რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს წითელას?

– წითელას მიმდინარეობის პროცესში აღინიშნება როგორც ადგილობრივი, ისე საერთო იმუნიტეტის შესუსტება – ვიტამინები ცვლის (განსაკუთრებით კი A და C ვიტამინების მოშლა, ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითება, რაც ხელს უწყობს პათოგენული და პირობით პათოგენური ფლორის გააქტიურებას და გართულებების განვითარებას. მათგან კი ყველაზე ხშირად გვხვდება ბრონქოპნევმონიის შემთხვევები. ყველაზე მძიმე კი – ენცეფალიტი და მენინგოენცეფალიტი. სწორედ ამ უკანასკნელთა დროს ლეტალობამ შესაძლოა 20-25 პროცენტს მიაღწიოს და ეს გართულებები ხშირად წლამდე ასაკისა და 5-17 წლის ბავშვებში და მოზრდილებში გვხვდება.

– როგორია ვირუსის, დაავადების გადაცემის მექანიზმი?

– ვირუსი, როგორც საუბრის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ვრცელდება მხოლოდ აეროგენული მექანიზმით, კონკრეტულად, აერწვეთოვანი გზით. ადამიანის ორგანიზმში ვირუსი იჭრება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანიდან. ვირუსის გამოყოფა კი ხდება საუბრის, ხველის, დაცემინების დროს. იგი ლორწოს წვეთებთან ერთად ვრცელდება გარემოში. საქმე იმაშია, რომ ვირუსი ჰაერის ნაკადთან ერთად ვრცელდება გარემოში. არ არის გასაკვირი, როცა იგი შეიძლება ადვილად გავრცელდეს ერთი სახლიდან მეორე სახლამდე, სადარბაზოდან სადარბაზოში, სართულიდან სართულზე. სწორედ ამიტომ მიიღო მასიური ხასიათი წითელას გავრცელებამ დიდ ქალაქებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის დაინფიცირება წითელას ვირუსით შეიძლება მოხდეს ინფექციის წყაროსთან ძალიან ხანმოკლე კონტაქტის დროს. იმის გამო, რომ ვირუსის გამძლეობა დაბალია გარემოში, მისი გადაცემა საყოფაცხოვრებო კონტაქტის ან ჰაერწვეთოვანი გზით არ ხდება.

– როგორც ამბობენ, წითელა ბავშვთა ინფექციური დაავადებაა.

– დიახ, წითელა ბავშვთა ინფექციური დაავადებაა, მაგრამ, ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა მოზრდილთა წილი საერთო ავადობაში, რაც რამდენიმე მომენტითაა განპირობებული. დაავადების მიმართ მიმღებლობა არის ძალიან მაღალი, თითქმის 100%, რასაც ისტორიული ფაქტებიც ადასტურებს. იმ შემთხვევაში, როდესაც წითელა ვრცელდება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ადრე ეს ინფექცია არ გვხვდებოდა, პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა ხდებოდა ავად. აღსანიშნავია ისიც, რომ დაავადების გადატანის შემდეგ ვითარდება მყარი პოსტინფექციური იმუნიტეტი და განმეორებადი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია. ამიტომაცაა, თუ ადამიანმა ბავშვობაში გადაიტანა წითელა, მას შემდეგ აღარ ხვდება.

– საინტერესოა წითელას კლინიკური მიმდინარეობა...

– დიახ, ინკუბაციური პერიოდი 9-17 დღეა, რაც იმუნოგლობელინით პროფილაქტიკისას შეიძლება გაგრძელდეს 21 დღემდე, იშვიათად 28 დღემდეც. დაავადების მიმდინარეობაში 3 პერიოდს არჩევენ.

დაავადება იწყება მწვავედ, რაც მოზრდილებში უფრო მკვეთრად არის გამოხატული – ინტოქსიკაცია და ტემპერატული რეაქცია. ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს, დამტვრეულობას, ძილის მოშლას, თავის ტკივილს, ზემო სასუნთქი გზების კატარს, კონიუნქტივიტს, მშრალი ხასიათის შემაწუხებელ ხველას, მაღალ ტემპერატურას, კანზე გამონაყარის განვითარებამდე 1-2 დღით ადრე ლოყების და ტუჩის ლორწოვან გარსზე ვითარდება წითელას პათოგენური ნიშანი – ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ე.წ. ანანთემა. მოთეთრო წერტილები ჰიპერემიული რგოლით, რომლებიც გამონაყარის დაწყებისას ქრება. პროდრომულ (კატარულ) პერიოდში აღნიშნულ ნიშნებს (ცხელება, კატარული მოვლენები, კონიუნქტივიტი, ენანთემა) სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს. პირველი პერიოდის ხანგრძლივობა 3-4 დღეა.

გამონაყარის პერიოდი მეოთხე-მეხუთე დღიდან იწყება. ამ დროს ტემპერატურამ შეიძლება 39-40°C-ს მიაღწიოს. გამონაყარი პირველად ჩნდება ყურების უკან, სახეზე და პირველსავე დღეს ვრცელდება კისერზე და გულ-მკერდის ზემო ნაწილში, შემდეგ მთელ ტანზე, ზემო და ქვემო კიდურებზე. გამონაყარი არის მაკულურ-პაპულური ხასიათის. ამ პერიოდში ძლიერდება აგრეთვე კატარული მოვლენები, თუმცა ქრება

იმუნიზაციის კვირეული

20-27 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის 53 ქვეყანაში, ევროპის იმუნიზაციის კვირეული ჩატარდა. აღნიშნული კვირეული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ იყო ორგანიზებული და ის ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია მოსახლეობისათვის იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შეხსენება და ინფორმირება. ევროპის იმუნიზაციის კვირეული ფოკუსირებულია დაავადებებზე, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციით არის შესაძლებელი (ე.წ. ვაქცინაციით მართვადი ინფექციები).

იმუნიზაცია ხელს უშლის გარკვეული ინფექციური დაავადებების გავრცელებას და ამით აუცრელ ადამიანებსაც კი იცავს. დაავადებები ვერ ვრცელდება, როდესაც მოცემული მოსახლეობის ჯგუფში აცრილთა რიცხვი საკმარისად მაღალია. ვაქცინაციით მოცვის მაღალი დონის შენარჩუნების გზით ვაქცინაციით მართვადი ინფექციების შემთხვევები იკლებს.

იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 12 მილიონამდე ბავშვი იღუპება. დაახლოებით 9 მლნ ბავშვი იღუპება ინფექციური დაავადებებისაგან, მათ შორის კი – 3 მილიონამდე ბავშვი, ანუ მესამედი – იმ ინფექციებისაგან, რომელთა პროფილაქტიკისათვის არსებობს ვაქცინა.

ინფექციებთან ბრძოლაში პირველი წარმატებები მიღწეულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე დაავადებათა გამომწვევები იქნებოდა აღმოჩენილი. მხედველობაშია ცნობილი ინგლისელი ექიმის, ედუარდ ჯენერის, 1796 წელს შექმნილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა და დიდი ფრანგი მეცნიერის, ლუი პასტერის მიერ 1885 წელს შექმნილი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ჯენერისა და პასტერის მიგნებები შემთხვევით ხასიათს ატარებდნენ. მეცნიერებს კიდევ დიდი დრო და შრომა დასჭირდათ ყველაფრის გასაგებად და გამომწვევებთან გეგმაზომიერი და თანმიმდევრული ომის გამოსაცხადებლად.

ამჟამად ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად ხელთ გვაქვს ერთ-ერთი ძირითადი საშუალება - ვაქცინაცია, რომელიც სხვა მეთოდებს შორის უძველესი და სანდოა. იგი, როგორც მეცნიერება, უკვე ცნობილია 200 წელი და დღესაც ერთგულად ემსახურება კაცობრიობას. ვაქცინაციის წყალობით დამარცხებულია ყვავილი, რომელიც თითქმის განადგურებულია.

დროულად ჩატარებული აცრები ვაქცინაციით მართვადი დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს 11 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის , როტავირუსული ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი – ბავშვს სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისაგან , რომლის წინააღმდეგაც მას აცრები ჩაუტარდა.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დაუშვებელია აცრების გადავადება ისეთი ცრუ უკუჩვენებების გამო, როგორიცაა გაციება, ხველა, სურდო, ალერგია, ქრონიკული დაავადებები და ა.შ.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. თუმცა ვაქცინის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაქცინირებული პირის (რეციპიენტის) ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე სრულყოფილი იმუნიტეტის გამომუშავების თვალსაზრისით. პროგამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში;

ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს ასევე, ვაქცინაციის პროცესის განხორციელების წესების დაცვა, ვაქცინის შენახვისა და ტრანსპორტირების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა ვაქცინის მოწოდების ყველა ეტაპზე მწარმოებლიდან მიმღებ ორგანიზმამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ აცრები ტარდება ერთჯერადი ავტობლოკირებადი შპრიცების საშუალებით იმუნიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ყოველივე ზემოთაღნიშნული, მომსახურების მიწოდების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, განაპირობებს ვაქცინაციის პროცესის ეფექტურობას და მის პრაქტიკულ უსაფრთხოებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა სოფელში სადაც არის საექიმო პუნქტი, არის ამცრელი კაბინეტიც, ამავე დროს ორივე სამშობიარო ახალშობილებს უტარდებათ აცრები ტუბერკულოზისა და „ბ“ჰეპატიტის საწინააღმდეგოდ. ყველა ამცრელი კაბინეტი ვაქცინებით და აუტოდესტრუქციული შპრიცებით მარაგდება ჩვენი ცენტრის მიერ. ამავე დროს ყველა კაბინეტს ხელშეკრულებით გადაცემული აქვთ მაცივარი და ცივი ყუთი, რათა არ მოხდეს ვაქცინების შენახვის ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა.

იმუნიზაციის კვირეულის სლოგანია: აცერი და დაიცავი. მინდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც შეუერთდეს ამ მოწოდებას. მშობლებს ვთხოვ, უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ მათი შვილებისთვის გეგმიური პროფილაქტიკური აცრების ჩასატარებლად.

ახლა ამის უფრო მეტი მიზეზი გვაქვს .მოგეხსენებათ, ქვეყანაში წითელას ეპიდაფეთქებაა.

წითელას მიმდინარე ეპიდაფეთქება დაიწყო ქ. თბილისიდან, თუმცა უკანასკნელი პერიოდის მონაცემები ცხადყოფს, რომ შემთხვევებმა გადაინაცვლა რეგიონებში და უკვე სახეზეა რამდენიმე ლოკალური ეპიდაფეთქება რაიონებში. დღევანდელი დღის მონაცემებით შემთხვევათა რაოდენობამ ათასს გადაჭარბა, ადგილი ჰქონდა ლეტალურ გამოსავალსაც.

ჩვენს მუნიციპალიტეტში პირველი შემთხვევები გამოჩნდა მარტის თვეში.ამჟამად დაფიქსირებულია 27 შემთხვევა,მათ შორის საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაღში და მანავის საშუალო სკოლაში.საქართველოს მთავრობის(№273 28 მარტი,2013წ.) განკარგულების „საქართველოში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” თანახმად ტარდება არასრულად იმუნიზებულ 7 წლამდე ასაკის ბავშვთა, სამედიცინო პერსონალის და წითელას სავარაუდო შემთხვევის გამოვლენისას, ორგანიზებული კონტაქტების ერთჯერადი ვაქცინაცია.ჩვენი სამსახურის მიერ გამოკვლეული იქნა დაავადების ყველა კერა,დადგენილი იქნა 280–მდე კონტაქტირებული, რომელთაც ჩაუტარდათ არაგეგმიური აცრები. გეგმიური აცრები კი აცრების კალენდრის მიხედვით, 2004 წლიდან წითელას საწინააღმდეგოდ წარმოებს 1 და 5 წლის ასაკში წითელა-წითურა-ყბაყურის (წწყ) ვაქცინით.

ლელა ოთარაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზ. ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

№9(47) 2013 წელი, 1-15 მაისი

ჭადრაკის დაფასთან

ჭადრაკის სწავლება ამართლებს

ტურნირის მთავარი მსაჯი ნანი უნაფქოშვილი

რამდენიმე წელია საგარეჯოს მთელ რიგ საჯარო სკოლებში სპორტის ერთ-ერთ სახეობად ჭადრაკის სწავლება დაინერგა. მიზანი და მიზეზი გარკვეული იყო – ბოლო პერიოდში საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის კლასებიდან გამოჩნდნენ ნორჩი მოჭადრაკეები, რომელთაც მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, არა მარტო რაიონული და კახეთის მხარის მასშტაბით, რესპუბლიკაშიც. მათი გამარჯვებები ხშირად აისახება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. დაინტერესება ჭადრაკის სწავლებაში დღეს უფრო ფართო მასშტაბების აღმოჩნდა, ვიდრე წინა თაობებში. საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეების წარმატებების გაცნობის შემდეგ ***საქართველოს პარლამენტის წევრმა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა*** **თინათინ ხიდაშელმა** დიდი ინტერესი გამოიჩინა ჭადრაკის შემდგომი განვითარების მიმართ და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მათ. სწორედ მისი ინიციატივით საგარეჯოში 26 და 27 აპრილს მიმდინარეობდა საჭარდაკო ტურნირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის – საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრისა და აიპ სპორტგაერთიანების ორგანიზებულობით.

მანანა ცუცქირიძე

მანანა ცუცქირიძე: – ***საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი:***

– საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდნენ ყველა იმ საჯარო სკოლის მოჭადრაკეები, სადაც სპორტის სახეობად შეტანილია ჭადრაკის სწავლება. ეს სკოლებია საგარეჯოს I, II, IV, ნინოწმინდის, თოხლიაურის, დიდი და პატარა ჩაილურის, ყანდაურის საჯარო და საგარეჯოს „თამარ გარეჯელის" კერძო სკოლები. მაგრამ ტურნირში მონაწილეობის მიღებაზე სხვა სკოლის მოსწავლეებიც არ იყვნენ შეზღუდულები.

ტურნირი მიზნად ისახავს როგორც ჭადრაკის პოპულარიზაციას, ასევე მოსწავლეებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას. აგრეთვე გამარჯვებულის გამოვლენას და მისი ფასიანი პრიზებითა და სიგელებით წახალისებას.

მინდა გითხრათ, რომ ტურნირი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი 1-14 აპრილს შიდასასკოლო პირველობების სახით და 26-27 აპრილს. რაიონის გამარჯვებული სკოლების გამოსავლენად მონაწილეობდნენ I-VI კლასის მოსწავლეები, მაგრამ არაუმეტეს 10 მოსწავლისა თითოეულ სკოლაში. ტურნირი ჩატარდა ფიდეს წესებით შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად.

მეორე ტურში 40 მოსწავლე ვაჟი და 16 მოსწავლე გოგონა იღებდა მონაწილოებას. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ნანი უნაფქოშვილი. ტურნირის ორგანიზატორებს, გარდა ნანი უნაფქოშვილისა, აქტიურად დაგვიდგნენ მხარში მწვრთნელები ირაკლი ქვლივიძე, ელენე ფარეშიშვილი, თენგიზ კობიაშვილი.

ტურნირში სკოლებს შორის ლიდერობდა საგარეჯოს II საჯარო სკოლა (დირექტორი ლელა ფანოზიშვილი). ვაჟებში I ადგილი დაიკავა ამავე სკოლის მოსწავლემ ლუკა გურჯიძემ. მეორე ადგილზე გავიდა IV საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი იმნაძე, ხოლო მესამეზე II საჯარო სკოლის მოსწავლე ერეკლე კავთუაშვილი.

ტურნირის მონაწილეებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილიც ადევნებდა თვალს



ლუკა გურჯიძე

ლალი გარსიაშვილი

გოგონებს შორის I ადგილი დაიკავა საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლემ ლალი გარსიაშვილმა. II ადგილზე გავიდა საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლე ეთერ ხებრელაშვილი, მესამეზე – საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლე ეკა ჭყონია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტურნირში მონაწილეობდა ყველაზე პატარა მონაწილე – 7 წლის გიგი ივანელაშვილი, რომელმაც თავისზე დიდი ასაკის მოჭადრაკეებთან მხოლოდ 2 პარტია წააგო. ამიტომაც ჩვენ დავაწესეთ ნომინაცია – ყველაზე პატარა მონაწილე და მას ფასიანი საჩუქარი – მარკერები გადავეცით. ასევე საგარეჯოს რესურს-ცენტრის ფასიანი საჩუქარი ნომინაციაში გამარჯვებული, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია, გადაეცა ლალი გარსიაშვილს, ლუკა გურჯიძესა და გიორგი იმნაძეს.ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები – უბის წიგნაკები და კალმები.

გიორგი მაისურაძე

როგორც აღვნიშნეთ, ტურნირში გამარჯვებულ 3 ვაჟსა და 3 გოგონას I,II და III ადგილებზე გასულებს გადეცათ პრიზები და მედლები, ხოლო ტურნირის ყველა მონაწილეს რესურს-ცენტრის სიგელები:

გიორგი მაისურაძე – ***აიპ სპორტგაერთიანების დირექტორი***: – ამ ტურნირის პროექტი საქართველოს პარლამენტარს ქ-ნ თინათინ ხიდაშელს ეკუთვნის. მოგეხსენებათ, ქ-ნი თინათინი ძალიან არის დაინტერესებული სპორტის ყველა სახეობის დანერგვასა და აღორძინებაში. იგი უახლოეს მომავალში გეგმავს სპორტული დარბაზების აშენებას და სპორტული დარბაზების მოწყობას იმ სოფლებში, სადაც დღესდღეობით არ გვაქვს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სწავლობენ ჭადრაკს და მოსწავლეებისაგან დიდი ინტერესიც იგრძნობა სპორტის ამ სახეობის მიმართ, საქართველოს პარლამენტის წევრისა და რაიონის ხელმძღვანელობიდან წამოვიდა ინიციატივა – ჩაგვეტარებინა საჭადრაკო ტურნირი ჯერ სკოლებს შორის, შემდეგ კი რაიონული მასშტაბით. შედეგი მართლაც საინტერესოა. აღნიშნული ტურნირის გამარჯვებულები ჩვენთვის ნაცნობი სახეები არიან, ისინი ხშირად გამარჯვებულის სტატუსით გვევლინებიან კახეთის მხარისა თუ თბილისის, ქუთაისის საჭადრაკო ტურნირებში. ამ ტურნირებში გამარჯვებულებს ჩვენ მედლები გადავეცით. ტურნირმა აჩვენა, რომ საგარეჯოს საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლება ამართლებს. ჩვენ გვყავს ძლიერი, მონდომებული მოსწავლეები, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით თავის სიტყვას იტყვიან ქართული ჭადრაკის განვითარებაში.

ტურნირს თვალყურს ადევნებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი.ტურნირში მონაწილე ყველა მოსწავლეს ნინოწმინდა-საგარეჯოს მთავარეპისკოპოსმა მეუფე ლუკამ (ლომიძემ) საჩუქრად ტკბილეული გამოუგზავნა.

თინა ილაური

ტურნირი

ეს ყველა მართლმადიდებელმა უნდა იცოდეს

გოლგოთის ტკივილიდან აღდგომის სიხარულამდე

ვნების შვიდეული

ვნების კვირა დიდი მარხვის ბოლო, აღდგომისწინა კვირას ჰქვია. ეს კვირა (უფრო სწორად, 6 დღე) იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებსაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ვნების შვიდეულის ოთხშაბათიდან პირველშეწირულის ლიტურგიის შემდეგ, წყდება მუხლთა დრეკა და დიდი მეტანიები. აღარ იკითხება ასევე ეფრემ ასურის ლოცვა „უფალო და მეუფეო“... და ფსალმუნთა კანონები. ფსალმუნების კითხვა განახლდება თომას კვირის მწუხრიდან.

დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის ხის გახმობას იხსენებს.

ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა,რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა – იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს 10 ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისაკენ. ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი მოწყალებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის, როცა გვეუბნება „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანს ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“.

ეს ყველა მართლმადიდებელმა უნდა იცოდეს

ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად აღსდგა!

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ სიმონ კეთროვანის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფლველად მოამზადა.

აქვე,დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი,თავისი მასწავლებელი და უფალი უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო. იუდას ვერცხლისმოყვარებას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო“, დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ პარასკევამდე მხოლოდ მონაზვნები ასრულებენ სენაკებში. ამგვარად, ეფრემ ასურის ლოცვა ყველიერის კვირის ოთხშაბათს იწყება და ვნების კვირის ოთხშაბათს სრულდება.

დიდი ხუთშაბათი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მოწაფეთათვის ფეხის დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვიხსენებთ.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრების კურთხევისას გამოიყენება).

დიდი ხუთშაბათის დღეს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება“ ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა.

აი, რომელი „სახარებები“ იკითხება ამ მსახურების დროს:

პირველი – იოანეს სახარება 13:31-18:1
მეორე – იოანეს სახარება 18:1-28
მესამე – მათეს სახარება 26:57-75
მეოთხე – იოანეს სახარება18:28-19:16
მეხუთე – მათეს სახარება 27:3-32
მეექვსე – მარკოზის სახარება 15:16-32
მეშვიდე – მათეს სახარება 27:33-54
მერვე – ლუკას სახარება 23:32-49
მეცხრე – იოანეს სახარება 19:25-37
მეათე – მარკოზის სახარება15:43-47
მეთერთმეტე – იოანეს სახარება 19:39-42
მეთორმეტე – მათეს სახარება 27:62-66

მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ავაზაკს შეუნდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიით ემთხვევიან და ტაძარს ტოვებენ. ძველი ტრადიციის თანახმად, სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ შინ და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის, რა თქმა უნდა, რაიმე ლამპარი უნდა მოვამზადოთ, რათა სანთლის შინ, ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღსრულდება, რადგან ამ დღეს უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნისა და დასაფლავებას ეძღვნება და ჩვეულებრივ, შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი მხოლოდ პურსა და წყალს იხმევს.

ძველი ტრადიციით, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი, ქრისტიანული ტრადიციით, ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა.

მორწმუნეები სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის იესო ქრისტეს უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულია, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“.

ბრწყინვალე შვიდეული

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

ტრადიციულად ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს მიცვალებულებს ვიხსენებთ, გავდივართ საფლავებზე. მაგრამ ამჯერად ჩვენ მათ ვიხსენებთ არა მარტო იმიტომ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმიტომ, რომ ვახაროთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, რომელმაც თავისი „სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა“.

ამ კვირაში ზიარებისათვის მომზადებაც შემსუბუქებულია: მარხვის დაცვა არაა საჭირო. ხორცის მიღება თვით ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება.

აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას გამარჯვების ნაცვლად ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ახარებენ: „ქრისტე აღსდგა“, „ჭეშმარიტად“, ჭეშმარიტად აღდგა!“ „ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!“

ჟურნალი „პარიბჭე“

ხელოვნური აბორტის გართულებები

სააღდგომო ეპისტოლის კვალდაკვალ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 2013 წლის სააღდგომო ეპისტოლეში იმ დანაშაულს შეეხო, რასაც მუცლადღებულ ყრმათა მკვლელობა, ანუ აბორტი ჰქვია. აბორტის მავნეობაზე ქალის ორგანიზმისათვის არაერთი სამედიცინო ლიტერატურა და კონკრეტული მაგალითები არსებობს...

დღეს აბორტის მავნეობაზე შპს კლინიკა „Life“-ის ექიმი გინეკოლოგი ლევან როსტიაშვილი გვესაუბრება:

– ხელოვნური აბორტი არის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ორსულის სურვილის,ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო, რომელიც ნებადართულია ორსულობის 12 კვირამდე. აბორტს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქალის ჯანმრთელობისათვის, მის ძირითად გართულებებს მიეკუთნება – აბორტის შემდგომი : ინფექციები,სისხლდენა საშვილოსნოდან,საშვილისნოს პერფორაცია, უშვილობა!

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საშვილოსნოზე ქირურგიული ჩარევის შედეგად ხელსაყრელი პირობები იქმნება მავნე მიკროორგანიზმების გავრცელებისა და ანთებითი პროცესის განვითარებისათვის. გარდა ამისა, აბორტს ყოველთვის თან ახლავს სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა,რაც კიდევ ერთი პირობაა ბაქტერიების გამრავლებისათვის. ინფექციური პროცესის დროული აღმოჩენა და მკურნალობა თავიდან აგვაცილებს სეპტიკური შოკის განვითარებას, რაც ხშირად მთავრდება ლეტალური გამოსავლით. უნდა აღინიშნოს, რომ ინფექციური გართულებები ყოველთვის არაა დაკავშირებული ექიმის დაუდევრობასთან ან ოპერაციის ჩატარების წესის დარღვევასთან, ინფექციის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი შინაგანი ორგანო, სადაც ანთების ფარული კერა არსებობს, მაგალითად, ქრონიკული ჰაიმორიტი, რინიტი, ტინზილიტი, გასტრიტი, ბრონქიტი, ადნექსიტი, კარიესი და რა თქმა უნდა, საშოს ანთებითი და ინფექციური დაავადებები.

აბორტის დროს საშვილოსნოს კედლიდან ხდება არა მხოლოდ ემბრიონის, არამედ ენდომეტრიუმის მოცილება და სისხლძარღვთა დაზიანებაც, რაც განაპირობებს სისხლდენას. აბორტისშემდგომი სისხლდენა გაცილებით მასიურია მენსტრუაციასთან შედარებით. თუმცა ამ შემთხვევაში წყდება რამდენიმე საათის განმავლობაში სისხლძარღვში თრომბების წარმოქმნის შედეგად. მძიმე შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სისხლის შედედების სისტემაში დარღვევებს აქვს ადგილი, სისხლის დიდი დანაკარგი ზრდის ლეტალური გამოსავლის რისკს.

აბორტისშემდგომი საშვილოსნოს პერფორაცია, ეს არის საშვილოსნოს დაზიანება ქირურგიული ინსტრუმენტებით, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის დაზიანებაა. გართულებების ხასიათიც სხვადასხვა სიმძიმისაა: სისხლდენის გაძლიერება, მსხვილი სისხლძარღვების, ნერვების დაზიანება, საშვილოსნოს ყელის ტრამვა, ასევე საშვილოსნოს მეზობლად მდებარე ორგანოების, ნაწლავებისა და შარდის ბუშტის დაზიანება. გართულებები ზოგჯერ იმდენად სერიოზულია, რომ დგება სასწრაფოდ ოპერაციის ჩატარებისა და საშვილოსნოს ამოღების საკითხი.

ორსულობის დადგომისას ქალის ორგანიზმში მნიშვნელოვანი ჰორმონული ცვლილებები მიმდინარეობს, რაც გავლენას ახდენს არამარტო სასქესო ორგანოებზე, არამედ ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემაზე. შეიძლება ითქვას რომ ქალის ორგანიზმის ყველა უჯრედი “ უფრთხილდება” საშვილოსნოში ჩასახულ ახალ სიცოცხლეს და როდესაც ხდება ორსულობის უხეშად შეწყვეტა, ეს წარმოადგენს დარტყმას მთელი ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით კი ჰორმონალური სფეროსათვის, რაც ძირითადად უშვილობის მიზეზი ხდება!

მე როგორც მეან-გინეკოლოგი შემდეგნაირად შემიძლია ჩამოვყალიბდე:

არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებისათვის საჭიროა ქალმა მიმართოს გინეკოლოგს და აირჩიოს კონტრაცეფციის შემდეგი სახეები ; ჰორმონალური აბები. ,საინექციო საშუალებები (დეპო-პროვერა) ,იმპლანტი(ნორპლანდი) საშვილოსნოსშიგა საშუალება(სპირალი) ქალის ქირურგიული სტერილიზაცია, სპერმიციდები, მამაკაცის კონდომი, კალენდარული, ლაკტაციური ამენორეის მეთოდი, თუმცა ამ მეთოდებს მართლმადიდებლობა სასტიკად კრძალავს.

„აბორტი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც.

დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება შვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ,– არც სახელმწიფო და არც საზოგადოება.

ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა მიზეზით, მუცლადღებული ნაყოფი მისთვის მიუღებელია, გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას, თუ თქვენ ვერ ახერხებთ მის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი
ილია II
სააღდგომო ეპისტოლე
2013 წელი

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

25-26 აპრილს, საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაეროს მოსახლეობის ფონდმა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ჩაატარა ტრენინგი "მამაკაცური საუბრები", ეს ღონისძიება კასკადური ტრენინგების შემდეგი ეტაპია, რომელიც ტარდება კახეთის რეგიონის სხვადასხვა ქალაქებში და მიზნად ისახავს მამაკაცთა ჩართულობის გაძლიერებას გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში. ეს ინიციატივა ტარდება აღნიშნული ფონდის მიერ, გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (სიდა) მხარდაჭერით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNPP), და გაეროს ქალთა ფონდის (UN Vomen) თანადგომით.

ისე როგორც სხვა კასკადური ტრენინგები, "მამაკაცური საუბრების" ეს ტრენინგი საგარეჯოში ჩატარდა "თეორი ბაბთის" კამპანიის დამაარსებლის მაიკლ კაუფმანის (კანადა) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის ინიციატორიც გახლდათ საქართველოს ქალთა საინფორმაციო ცენტრი. ტრენინგის ძირითადი მიზანი გახლდათ მამაკაცების როლის გაძლიერება და პასუხისმგებლობის ამაღლება გენდერული თანასწორობის მიღწევის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზაციისა და გენდერული ძალადობის დაძლევის საქმეში.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ შესაძლებლობებს, ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ემყარება ადამიანთა თანასწორობის რწმენას, თანაბარ მონაწილეობას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე. გენდერული თანასწორობის დამყარება ქვეყანაში წარმოუდგენელია მხოლოდნ ქალთა როლის გაძლიერებით და შესაბამისად, მამაკაცების ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია ამ მხრივ. ტრენინგის მიზანია ხელი შეუწყოს მამაკაცებს – სწორად გაიაზრონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის დამყარების, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზაციის, გენდერული ძალადობის დაძლევის პროცესში.

სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრნენ და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეკრებილ საგარეჯოელ მამაკაცებს საქართველოს „ქალთა საინფორმაციო ცენტრის" პროგრამის მენეჯერმა მამუკა გაჩეჩილაძემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომას" ბორდის თავმჯდომარემ სერგო ჩიხლაძემ, ტრენერმა გიორგი კალმახელიძემ. მათ ტრენინგის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, შობადობასა და სქესთა შორის თანაფარდობაზე. ყურადღება გაამახვილეს გენდერისა და ჯანმრთელობის დაცვის, აივ/შიდსისა და გენდერის ურთიერთმიმართებაზე. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ მასალები ქვეყანაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ძირითად ტენდენციებზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს შესრულებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შესახებ, ასევე იმავე წელს ცენტრ „თანადგომის" მიერ განხორციელებული ხარისხობრივი კვლევისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ შემუშავებული საქართველოს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მასალები.

ტრენინგის მონაწილეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, თუ რისი გაკეთება შეუძლია ქართველ მამაკაცს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. გააცნეს მასალები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ისაუბრეს ათასწლეულის განვითარების მიზნებსა და ამოცანებზე, სქესობრივ და რეპროდუციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის თაობაზე.

ტრენინგის დასასრულს შეჯამდა ორდღიანი მუშაობის შედეგები, გამოითქვა მოსაზრებები, ასევე მსმენელებს დაურიგდათ შესაბამისი სერთიფიკატები.

გივი დაბახიშვილი

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

გორანელ მოლექსეს გრიშა აფციაურს, კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველები, 85 წლის იუბილე 2 მარტს მშობლიურ კუთხეში კოჭბანის საჯარო სკოლის შენობაში მიულოცეს თანასოფლელებმა, საგარეჯოს აიპ კულტურის გაერთიანების დირექტორმა ბესიკ ღვინაშვილმა, საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორმა თინათინ მეზვრიშვილმა და მოწვეულმა სტუმრებმა. ამ ღონისძიების ინიციატორი კი კოჭბანის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი ხათუნა მძელური იყო.

10 მაისს კი იუბილის აღნიშვნამ საგარეჯოში, ახალგაზრდულ ცენტრში გადმოინაცვლა, მოლექსეს მართლაც დიდი სიურპრიზი მოუწყო ზეპირსიტყვიერების დიდმა ტრფიალმა, პოეტმა ლეილა არჩემაშვილმა. ქ-ნი ლეილა კარგად იცნობს მთის ზონის თითოეულ მოლექსეს, დიდი რუდუნებით უყრის თავს მათ ნაფიქრალ – ნააზრევს, ქაღალდზე გადმოტანილ მათი სულის ძახილს და ეს საღამოც სწორედ ხალხური პოეზიის, ქართული ფოლკლორის იმ დიდი ტრადიციის ასადორძინებლად და საძირკვლის ახლიდან ჩასაყრელად მოაწყო, რომელმაც დიდ საქმეებს უნდა დაუდოს საფუძველი. დიახ, ამ საღამოს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფოლკლორის მიმდინარეობის ხელმძღვანელი, ,ყველა ქართველისთვის საყვარელი, ხალხური ფოლკლორის დიდი მესაიდუმლე და მომფერებელი ქალბატონი ეთერ თათარაიძე და მისი მეუღლე, ფოლკლორისტიკის კონსულტანტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი ამირან არაბული, ჟურნალისტი და გაზეთ "კავკასიონის" რედაქტორი იზა ჯაჭვაძე, პოეტები მზია ხეთაგური, ჯუმბერ გოგრიჭიანი, რომან ზუკაკიშვილი და გიგლა ჭინჭარაული ესწრებოდნენ. მათ ისაუბრეს ქართული ფოლკლორის მნიშვნელობაზე, ქართველი ერისათვის ეროვნულობის შენარჩუნებაზე, სახელმწიფოში იმ დიდ მისიაზე, რასაც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საერთოდ, ქართველი ფოლკლორისტები აკისრებენ ჩვენს თანამემამულეს, თავადაც ხალხურ ლექსზე შეყვარებულ ლეილა არჩემაშვილს. დიახ, ქალბატონი ლეილა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დავალებით სათავეში ჩაუდგა თითოეული სახალხო მთქმელის მოძიებას, აქ, ჩვენს მუნიციპალიტეტში შექმნილ თითოეულ ლექსს ჩაიწერს, შემდეგ კი ვინ იცის, ფოლკლორის ენციკლოპედიაში შეტანილმა ვის გაუხაროს გული, ვის აუჭრიამულოს ძარღვებში ქართული სისხლი?!

იუბილარის – ბ-ნი გრიშას საიუბილეო საღამოზე დამსწრე საზოგადოებას აჩვენეს კადრები – ქართული ფოლკლორის სადამოზე ბ-ნი გრიშასი და მისი თანასოფლელის, მოლექსე ხვთისო ჭინჭარაულის მიერ წაკითხული ლექსები და კაფიები.

იუბილარს ასევე მიესალმნენ კაფიების დიდოსტატები: ლექსო არაბული, რამაზ დიდებაშვილი, გელა ხოშარაული, მალხაზ წიკლაური, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი ნათელა დიღმელაშვილი, საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა გილაშვილი, სახალხო მთქმელი დათო თოლომაშვილი.

საიუბილეო საღამო ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კაკაბელებმა" (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი) თავიანთი სიმღერებით დაამშვენეს. დარბაზში დიდხანს ისმოდა ერთი სუნთქვით ამოთქმული ძარღვიანი ქართული ლექსები.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრეს-სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარ სპეციალისტს ლია კოხტაშვილს დედის

მანანა ბალავაძე-კოხტაშვილის

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

პაატა პიტიურიშვილის მონატრება

გავიდა უკვე რამდენიმე თვე მას შემდეგ, რაც ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა შენმა სულმა, ჩვენო საყვარელო ძმაო და ძვირფასო მეგობარო,პაატა! ჩვენ ხომ შენით ვამაყობდით, შენი თანაკლასელები, რადგან შენ იყავი ჩვენ შორის ნათელი წერტილი, ყველაზე წარმატებული პიროვნება,რომელმაც 30 წლის მანძილზე უდიდესი მიღწევები მოიპოვე: იყავი ცნობილი ქართველი ექიმი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოლოგი, საქართველოს და ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი.

გული გვტკივა, ძვირფასო ძმაო, რომ ციცისა და მარატის შექმნილი ლამაზი ქართული ოჯახი სინანულით სავსე ტრაგიკულ მოგონებადდა დარჩა... ჯერ იყო და პატარა ჯარისკაცის – ზაალის სიკვდილმა შეძრა ჩვენი პატარა ქალაქი. მშობლებმა დაკარგეს საყვარელი შვილი. მძიმე ბურუსი ჩამოწვა მამის გულში და როცა კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისათვის, გატყდა ბრგე ვაჟკაცი, ჩამოდნა და ჩამოიღვარა. სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. ცდილობდა გამკლავებოდა დარდს, მაგრამ ამაოდ. წავიდა მარატ პიტიურიშვილი იმქვეყნად და კაცური კაცის სახელი დატოვა ამქვეყნად.

ამან კიდევ ერთხელ შეძრა ჩვენი პატარა ქალაქი.

მუხთალმა ბედმა ესეც არ აკმარა ქალბატონ ციცის. პაატას მოულოდნელმა სიკვდილმა მის ცხოვრებასა და სიცოცხლეს აზრი დაუკარგა, რომ არა შენი პატარა, ლამაზი და ღრმა შინაარსით სავსე ოჯახი – მეუღლე და კარგი შვილები, ალბათ ხელს ჩაიქნევდა ეს იმედითა და ოპტიმიზმის გრძნობით სავსე ქალი. ან კი ადვილია ორი კარგი შვილისა და სახელოვანი მეუღლის დაკარგვა?!.

საყვარელო პაატა! მიმდინარე წლის 12 მაისს 48 წლის გახდებოდი, მაგრამ მუხთალმა ბედმა გაყო ჩვენი ცხოვრების გზები. სამაგიეროდ, ჩვენს გულებში სამარადჟამოდ დარჩება შენი კაიკაცობისა და კეთილ საქმეთა ხსოვნა.

თანაკლასელები

გივი მჯედლიშვილი

3 მაისი შენი დაბადების დღეა, ჩვენო ძვირფასო გივი. როგორ უნდა შევხვდეთ ამ დღეს უშენოდ, ძმაო. რა უბედურების ზარმა ჩამოჰკრა 2013 წლის 2 იანვარს. რა მეხი დაგვეცა და ხელიდან გამოგვეცალე ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო. შენ ხომ ეხლა 63 წლის უნდა გამხდარიყავი. გაგეხარა შენს ოჯახში, შენს პატარა შვილიშვილებში. შენ ხომ ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყავი – კეთილი, პატიოსანი, მშრომელი, ოჯახისათვის და სოფლისთვის თავდადებული. ამიტომ არის, რომ ყველა კარგად გიგონებს. იტყვიან – დრო მკურნალიაო. მაგრამ შენ ჩვენთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნები. ნათელში იყოს შენი სული, სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

შენი და ჯულიეტა

გიორგი სიმონიშვილი

22 მაისს 23 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ სამარადჟამოდ 20 წლის დარჩი. გიო, ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო დათოვლილო შემოდგომავ და კვირტდამზრალო გაზაფხულო, ჩვენო სიამაყევ და ჩვენო იმედო. ყოველთვის ჩვენ გეძახდით, ყოველთვის ჩვენ გვჭირდებოდი, ნუთუ შენ არაფერი გიჭირდა?! ნუთუ შენ არაფერი გტკიოდა?!

ხუთი დღე ებრძოლე სიკვდილს, მაგრამ ვერაფერს გახდი, მიებარე უფალს და გვჯერა შენი ნათელი სულის, გვჯერა, რომ უფალთან ხარ, მაგრამ რა ვუყოთ უშენობით გამოწვეულ ტკივილსა და მონატრებას?! რა ვუყოთ სინანულს, რომ ასეთი პატარა მიგაბარეთ მიწას, ასეთი გაუხარელი, სიყრმედაუსრულებელი. გვენატრები, ჩვენო პატარა მეგობარო. იძინე მშვიდად, ჩვენო სიამაყევ. მსუბუქი იყოს შენს ნატანჯ სხეულზე დაყრილი მშობლიური მიწა, მიწა, რომელიც ჩვენს სალოცავად იქცა.

მეგობრები